

ფინანსური ანგარიშგება
სს შენკერ და კოს ფილიალი საქართველოში
(ს/კ: 402186399)

DB SCHENKER

2024 წელი

სარჩევი

1. ფინანსური ანგარიშგება	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება	3
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	5
2. ზოგადი ინფორმაცია	6
3. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	6
შემოსავლის აღიარება	7
ხარჯების აღიარება	7
ძირითადი საშუალებები	7
არამატერიალური აქტივები	8
ხელფასები.....	8
იჯარა	8
მოგების გადასახადი	9
საწესდებო კაპიტალი	9
საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	9
ფული და ფულის ეკვივალენტები	10
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	10
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	10

1. ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31/12/2024	31/12/2023
აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	782,572	552,138
საგაჭრო და სხვა მოთხოვნები	287,043	181,255
ძირითადი საშუალებები	381,592	271,582
სხვა ძირითადი საშუალებები	380,612	261,260
არამატერიალური აქტივები	980	10,323
სულ აქტივები	1,451,208	1,004,975
ვალდებულებები		
საგაჭრო ვალდებულებები	1,736,358	2,096,018
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	20	69,522
საგადასახადო ვალდებულებები	-	552
სხვა ვალდებულებები	1,050	10,226
სულ ვალდებულებები	1,737,428	2,176,318
საკუთარი კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	286,220	1,171,343
სულ საკუთარი კაპიტალი	286,220	1,171,343
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,451,208	1,004,975

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

	31/12/2024	31/12/2023
მომსახურების გაწევიდან	8,652,111	5,821,094
გაყიდვების თვითღირებულება	6,779,361	4,376,847
<i>საერთო მოგება</i>	<i>1,872,750</i>	<i>1,444,247</i>
სხვა შემოსავალი	24,122	-
ადმინისტრაციისა და გაყიდვების ხელფასების ხარჯი	676,172	647,947
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	48,672	52,744
სხვა ხარჯები	286,806	486,674
მოგება / ზარალი, მოგების გადასახადის ხარჯამდე	885,222	256,881
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	885,222	256,881
საწყისი გაუნაწილებელი მოგება: გადაანგარიშებული		
გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი (წინა წლის საბოლოო ნაშთი)	1,171,442	1,428,223
გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი	286,220	1,171,343

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	დაგროვილი მოგება/ზარალი	მთლიანი კაპიტალი
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,428,223.47	694,710.21
წლის მოგება/ზარალი	-256,880.97	733,513.26
წლის მთლიანი შემოსავალი	-256,880.97	733,513.26
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,171,342.50	1,428,223.47
2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,171,342.50	1,428,223.47
წლის მოგება/ზარალი	-885,222.41	-256,880.97
წლის მთლიანი შემოსავალი	-885,222.41	-256,880.97
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	286,120.09	1,171,342.50

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საოპერაციო საქმიანობა	31/12/2024	31/12/2023
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	8,546,323	5,789,436
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	8,181,229	5,317,789
სხვა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	24,121.65	-
საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის	158,681	54,431
საფინანსო საქმიანობა		
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	552,138	134,921
სავალუტო კურსის ეფექტი	-99.94	-
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	782,573	552,138

2. ზოგადი ინფორმაცია

სს შენკერ და კოს ფილიალი საქართველოში დაარსდა 2021 წლის 4 ივნისს თბილისში, საიდენტიფიკაციო კოდით - 402186399 საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

Schenker&Co AG არის კომპანიის 100 %-იანი წილის მფლობელი. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეებია:

Schenker AG	Germany	85%
Schenker AG&Co Beteiligungsverwaltungs OHG	Austria	15%

კომპანიის ხელმძღვანელი და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირია დირექტორი გიორგი გამცემლიძე.

კომპანიის ძირითად საქმიანობა მოიცავს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო გადაზიდვებსა და ლოჯისტიკურ მომსახურებას. კონკრეტულად, კომპანია უზრუნველყოფს ტვირთების გადაზიდვას საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო ტრანსპორტით, ასევე საბაჟო, საბროკერო და სასაწყობო მომსახურებას.

2024 წლის ბოლოს კომპანიას დასაქმებული ჰყავდა 11 თანამშრომელი.

კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, თბილისი, 0102, კ. მარჯანიშვილის ქუჩა 6.

3. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ დამტკიცებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად და წარმოდგენილია ქართულ ვალუტაში - ლარში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, რაც გულისხმობს, რომ კომპანია გააგრძელებს საქმიანობას პროგნოზირებად მომავალშიც და არ არსებობს მყარი მტკიცებულება საწარმოს შეწყვეტის ან ლიკვიდაციის განზრახვის შესახებ.

შემოსავლის აღიარება

კომპანიის შემოსავალი შედგება მის მიერ ძირითადი საქმიანობის ფარგლებში გაწეული მომსახურებით მიღებული შემოსავლებისგან. შემოსავალი აღიარებულია მაშინ, როდესაც მომსახურება ფაქტობრივად შესრულებულია. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება ყველანაირი გაცემული სავაჭრო ფასდათმობა.

მომსახურების ფასები დგინდება ინდივიდუალურად, თითოეული გადაზიდვის სპეციფიკიდან გამომდინარე — გათვალისწინებულია ტვირთის ტიპი, მოცულობა, გაბარიტები და ტრანსპორტირების მარშრუტი.

ინვოისები გამოიწერება მომსახურების სრულად დასრულების შემდეგ, ხოლო გადახდის ვადები განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული მომხმარებლისთვის, თუმცა არ აღემატება 60 კალენდარულ დღეს. კომპანიაში ყველა ტიპის ანგარიშსწორება ხდება მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარებულია იმ პერიოდში, როდესაც ისინი რეალურად წარმოიშვა და უკავშირდება შესაბამის შემოსავალს, დარიცხვის პრინციპის შესაბამისად. ხარჯები ასევე აღირიცხება მაშინ, როდესაც მათი წარმოშობა აუცილებელია აქტივის ან ვალდებულების აღიარებისთვის და მათი ოდენობა შეიძლება სანდოდ შეფასდეს.

ხარჯების აღიარება მოიცავს მომსახურების შემენასთან, პერსონალის შრომის ანაზღაურებასთან, ოფისისა, ასევე სხვა საოპერაციო ხარჯებთან დაკავშირებულ ყველა კომპონენტს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარებულია თავდაპირველი თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აქტივის შეფასების კორექტირება გაუფასურების ცვეთის დარიცხვა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც აქტივი გადადის ექსპლუატაციაში და გამოიყენება კომპანიას საქმიანობის პროცესში, ანუ როდესაც ის მიიჩნევა მუშა მდგომარეობაში მყოფად. ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. კომპანიის მიერ აღიარებული ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფზე ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივის სავარაუდო სასარგებლო ეკონომიკური ვადის განმავლობაში.

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ავეჯი	13
ელექტრონული მოწყობილობები	3
კომპიუტერები	3
ავტომობილები	5
არამატერიალური აქტივები	3 ან 5

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ანგარიშგებაშია წარმოდგენილი დაგროვილი ამორტიზაციის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით შემცირებული თვითღირებულებით. ამორტიზაცია ხორციელდება წრფივი მეთოდით, აქტივის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რომელიც კომპანიის პოლიტიკის მიხედვით, ჩვეულებრივ, შეადგენს 3-5 წელს.

ხელფასები

ხელფასები აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც თანამშრომელი გასწევს მისი სამუშაოს აღწერილობით განსაზღვრულ მომსახურებას. თანამშრომელთა ხელფასებთან დაკავშირებული სოციალური შენატანები და სავალდებულო გადასახადები აღირიცხება იმავე პერიოდში, როდესაც წარმოიშობა ხელფასის ვალდებულება.

კომპანიაში არსებული საბონუსე სისტემის შესაბამისად, ბონუსების კალკულაცია და აღრიცხვა ხდება კვარტლურად. დასრულებული კვარტლის ბონუსის დარიცხვა ხდება შემდეგი კვარტლის ბოლოს.

იჯარა

კომპანიას აქვს იჯარის ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც 5 წლის ვადით აღებული აქვს საოფისე ფართი, სადაც გასწევს საოპერაციო საქმიანობას. აღნიშნული ხელშეკრულება აღრიცხულია ფასს 16-ის შესაბამისად. იჯარა ამორტიზირდება წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ახალი რეგულაციის მიხედვით, რომელიც 2017 წლიდან შევიდა ძალაში, მოგების გადასახადის განაკვეთი განსაზღვრულია ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით იბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება.

ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომლებიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიცი, საჩუქარი, გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და სხვა).

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი ხარჯად აღიარდება იმ პერიოდში როდესაც გამოცხადდება დივიდენდები, ფაქტობრივად გადახდის დღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომლის მიხედვითაც ნაწილდება დივიდენდები. საგადასახადო განაკვეთი არის წმინდა განაწილებული ოდენობის 15/85.

კომპანიას 2024 საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ გაუნაწილებია მოგება, თუმცა, ჰქონდა გარკვეული ოპერაციები, რომელიც დასაბეგრი იყო მოგების გადასახადით. კერძოდ, წარმომადგენლობით ხარჯებში შემავალი ისეთი ხარჯები, რომლებიც ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას. ასევე პარტნიორებისთვის განკუთვნილ საჩუქრებზე გაწეული ხარჯები.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში შესაბამისი დამფუძნებლის მიერ განხორციელებული ფაქტობრივი შენატანების შესაბამისად.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ არ მომხდარა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც მოითხოვდეს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ასახვას ან დამატებით განმარტებებს.

ფული და ფულის ეკვივალენტები

	2024	2023
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე	782,572	552,138

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024	2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	287,043	181,255

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024	2023
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,736,358	2,096,570
სახელფასო ვალდებულებები	20	69,522

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2024
ადმინისტრაციისა და გაყიდვების ხელფასების ხარჯი	676,172
დაზღვევის ხარჯები	52,455
ცვთა / ამორტიზაციის ხარჯი	48,672
საკონსულტაციო ხარჯები	40,162
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები	18,925
მარკეტინგული ხარჯები	17,079
კომუნიკაციის ხარჯები	12,411
მივლინების ხარჯები	8,865
ოფისის ხარჯები	6,322
ავტომობილის შენახვის ხარჯები	2,322
საწვავის ხარჯი	2,702
თანამშრომლების გადამზადების ხარჯები	1,990
საფოსტო და საკურიერო ხარჯები	972
ბანკის საკომისიო	6,354
საგადასახადო ხარჯები	2,658
საკურსო შემოსავალი/ხარჯი	110,949
სხვა საოპერაციო ხარჯები	2,639

